ოთხშაბათი, 24 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პ[ი]რველი—№ 233

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და [ლექსები]. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ«**

„ისრის“ ქუთათურ ხელის მომწერლების საყურადღებოდ.

აგერ წელიწადი გადის, მაგრამ წლიურ ხელის მომწერლების უმეტეს ნაწილს ხვედრი ფული არ აქვთ შემოტანილი: ზოგს ნახევარი წლის აქვს გადახდილი, ზოგს მესამედის და ზოგმაც, ისარგებლა რა კანტორის ნამეტანის ნდობით, წლიური ხვედრში სულაც არაფერი შემოუტანია.

მეათე თვე გადის, დღემდე კანტორას არავასათვის ამის გამო გაზეთი არ მოუსპია და დღესაც უხერხულად მიაჩნია გაზეთს შეჩვეულ მკითხველს იგი ხელიდან გამოჰგლიჯოს ამ წლის მიწურულში. ამისათვის კანტორა ისევ გაზეთის საშუალებით მიჰმართავს და შოითხოვს, რომ ხელის მომწერლებმა თავიანთი ხვედრი ახლავე შემოიტანონ, რათა მასაც მიეცეს შეძლება რედაქციას თავის დროზე ანგარიშები გაუსწოროს. უმჯობესი იქნება, ანგარიშები რომ არ აირიოს, ფული თვით კანტორაში მიიტანონ.

**ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“** (5—4)

**27**-ს ამა ოქტომბერს

**ილია ჭავჭავაძის დაბადების მე 70 წლის თავზე**

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

**წერა-კითხვის საზოგადოების მიერ** გაიმართება

## სალიტერატურო და სამუსიკო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ე. გაბაშვილისა, ღ. ერისთავი-განდეგილი, ნ. პრესინსკისა, ს. რომანიშვილისა, მ. ძნელაძისა და ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ი. ევდოშვილი, იოს. ბარათაშვილი, ა. იმედაშვილი, არ. ლეისტი, ნ. კურდღელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი. ტომაშევიჩი, ცხომელიძე და ფილარმ. საზოგადოების **ხორო** ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში; 26 და 27 კი გაიყიდება არტისტ. საზოგადოების კასაში.

**საღამო დაიწყება სრულ 8 საათზე.**

## შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო

29 ოქტომბერს, დილის $11^1/_2$ საათისთვის საბჭოს სადგომში ქუთაისს (პრინცესა მიურატის სახლი) იწვევს იმათ, ვისაც სურს იკისრონ:

1. შორაპნის მაზრის დაბა ჭიათურაში რიყის ქვით ქუჩების დაგება, ზომით 1250 ოთხ-კუთხ საჟენისა. ეს საქმე 6,000 მანეთამდეა;

2. იქვე სამრეწველო გზებზე ქვების მიტანა; საჭიროა 400 ოთხ-კუთხ საჟენამდე დამტვრეული კირნარევი ქვა და 250 ოთხ-კუთხ საჟენამდე დამტვრეული რიყის ქვა. სამუშაო 8,000 მანეთამდეა.

პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ქუთაისს და ჭიათურაში ყოველ დღე 9-დან 3 საათამდე.

საჯარო ვაჭრობა ყოველ საქმეზე ცალკე მოხდება.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა ვაჭრობის დაწყებამდე საბჭოს კასსაში წარადგინოს ბე, რომელიც უნდა უდრიდეს საიჯარო საქმის 10°/o-ს, ამასთან თუ საქმის ამღები უარს იტყვის საბჭოს მოთხოვნაზე და სამი დღის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის გათავების შემდეგ ხელს არ მოაწერს ფორმალურ ხელ-შეკრულებას, იმისი ბე საბჭოს სასარგებლოდ დარჩება.

საჯარო ვაჭრობა უნდა დაამტკიცოს შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭომ, ამასთან საბჭოს უფლება აქვს ვაჭრობის დამტკიცების დროს მხედველობაში მიიღოს არა მარტო ფასი, არამედ კეთილ საიმედობა მოიჯარადრისა. (3—6.—2)

კ ა ხ უ რ ი ღ ვ ი ნ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა

## „ზ ი რ ა ს“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, **№ 17.**

**ტფილისში.** (50—262—15)

მ ქ ი მ ი

**ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

**დოქტორი მედიცინისა**

**გ. გ. გურგენოვი**

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადმოვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—10)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, ნიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—17)

ექიმი ქალი

**ს. ზ. მირზოევისა**

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—7)

მ ქ ი მ ი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებიო ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა **№** 9. (თვ.)

მ ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—206)

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

**ე. დ. ნასარ..ძე**

**იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე.** (346)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, **№ 31, სახლი სარაჯიშვილისა.** (30—345—6)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი **„სიმპატია“ და „ინტელიგენტი“,** რომელიც წმინდა „გრაინცის“ საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—9) პატივისცემით **მ. ფირალოვები.**

წ.-კითხვის საზოგ. მაღაზიაში და ქ. ამხ. კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიასთან) იყიდება ახალი წიგნი

## ნაშრომი

**(№ 2)**

შინაარსი: **„ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“.** (წერ. მ. ჯანაშვილისა).—საგურამოში: თავ. ი. გ. ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები (წერ. არტურ ლეისტისა).—საქართვ. მწერლობის და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მოკლე განხილვა (წერ. ოკსფორდის უნივერს. პროფეს. მორფილისა).—ურბნისის სახარება ტიშენდორფისეულ მეოთხე საუკ. სახარებასთან შედარებით (წერ. ქ. ჯანაშვილისა).—ფასი 20 კაპ. (3—უ.—3)

## გ ა მ ო ვ ი დ ა

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა

## „ბუნების კარისა“

ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება, მთავარი ისტორიული პირების პორტრეტებით. იპყრობს **470** გვერდს.

ფასი ისევ **სამი აბაზი** ყდით. (6—3)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

ც ნ ო ბ ი ლ ი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე **№ 1—9** **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალისტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

**გამგედ სამკერვალოისა არიან:** უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისა თოხაძისა. (25—6.—22)

## დიმიტრი ყიფიანი

დღეს, 24 ოქტომბერს, სწორედ ოცი წელიწადი შესრულდა, რაც სტავროპოლში ბნელმა ძალებმა ულვთოდ მოჰკლეს დიდებული კაცი—დიმიტრი ყიფიანი. აი, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 14 აპრილს 1814 წ. ს მერეთში, ქვემო ქართლში, სადაც მამა მისი ჩასიძებული იყო ფიცალაძეების ოჯახში. პირველი წერა-კითხვა დიმიტრიმ დედისაგან ისწავლა. მერე ტფილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, აქედან კეთილშობილთა სასწავლებელში (გიმნაზიაში) გადავიდა.

1832 წ. დიმიტრიმ სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შეთქმულებაში რუსის მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო დიმიტრი ერთს წელიწადს მეტეხის ციხეში იჯდა, როგორც ერთი უმთავრესი დამნაშავეთაგანი, მერე ქ. ვოლოგდაში იქნა გაგზავნილი. ვოლოგდაში სამსახურის ნება მისცეს და გუბერნატორის კანცელარიაში შევიდა. ვოლოგდიდან დაბრუნებული ქუთაისში მსახურებდა 4 წელიწადს. მერე ტფილისში მსახურებდა.

დიმიტრიმ დიდი მონაწილეობა მიიღო ქართულ თეატრის და „ცისკრის“ დაარსებაში. ამ დროს დასწერა დიმიტრიმ რუსულად „ქართველ წოდებათა შესახებ“ და „საქართველოს ისტორიის მასალებზე“. ყირიმის ომის დროს დაინიშნა გენერალ ბებუთოვის სამხედრო კანცელარიის დირექტორად. მაგრამ მალე მთავარმართებელმა მურავიოვმა საქალაქო ნაწილის მმართველად დანიშნა; ხოლო უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა ამ თანამდებობაზე, სამაგიეროდ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრობა მისცეს.

1864 წ. დიმიტრი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად, თუმცა გრ. ორბელიანი და სხვა დიდი თავადიშვილები წინააღმდეგნი იყვნენ მისის არჩევისა. ამ დროს დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა ტფილ. და ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკები მარშლად იყო 6 წელ., მერე არ ინდომა. 1885 წ. არჩეულ იქნა ტფილისის ქალაქის თავად.

1885 წ. დიმიტრი ყიფიანი ერთხმად აირჩიეს ქუთაისის საგუბერნიო მარშლად. ამ თანამდებობაზე დაჰყო ერთი წელიწადს.

განსვენებულ დიმიტრის მუდამ შეტაკება და უსიამოვნება ჰქონდა რუსის მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებთან. მიზეზი ის იყო, რომ იგი ყოველთვის მედგრად იცავდა ქართველ ხალხის ინტერესებს. იგი იცავდა ქართულ ენას სკოლებსა და ეკლესიებში, წინააღმდეგი იყო სამართველოში სამხედრო ბეგრის შემოღებისა და ჩვენებურ ყმაწვილ კაცთა ცივ ქვეყნებში გაგზავნისა, ებრძოდა ყოველ გვარ ბოროტებას და უსამართლოებას. ამის გამო იმ თავითვე გადაიმტერა მაშინდელი მთავარ-მართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ექსარხოსი და გუბერნატორები.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოვლად პატიოსანი და ღრმად მოხუცებული კაცი სრულიად განაძევეს საქართველოდან. მიზეზი ამისა ტფ. სემინარიის მაშინდელ რექტორის ჩუდნოვსკის მოკვლა იყო. სემინარიაში იმ დროს აუტანელი რეჟიმი იყო. ამ რეჟიმს შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთმა მოსწავლემ ლაღიძემ მოჰკლა რექტორი. რასაკვირველია, ასტყდა განგაში. დასაფლავების დროს ექსარხოსმა დასწყევლა საქართველო და მთელი ქართველი ერი. ყიფიანმა ეს ამბავი სოფელში გაიგო, მაშინვე დასწერა მკვახე წერილი ექსარხოსთან და მოსთხოვა წასულიყო ჩვენი ქვეყნიდან. ამ წერილმა და ყიფიანის ამბავმა პეტერბურგამდე მიაღწია და ყიფიანი გააძევეს საქართველოდან.

მოხუცი მოჭირნახულე სტავროპოლს გაჰგზავნეს, მაგრამ ბნელმა ძალებმა არც იქ მოასვენეს და ერთ ღამეს სრულიად მოუსპეს სიცოცხლე... მკვლელები, რასაკვირველია, ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ყველამ იცოდა, რად იყო მოკლული მხცოვანი და დიდებული ადამიანი.

დიდებული იყო დაკრძალვა დიმიტრი ყიფიანისა. იგი ტფილისში მოასვენეს. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომ ამ დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი არ ჩამოსულიყო. ცხედარი გოლოვინის პროსპექტით გაატარეს და დაასვენეს მამა-დავითის ეკლესიაში. არ უნდოდათ პროცესია გოლოვინის პროსპექტზე გაეტარებინათ, მაგრამ შეკრებილნი არაფერს მოერიდნენ და თავისი გაიტანეს...

განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ლიტერატურის წინაშე. მან სთარგმნა საუკეთესო ნაწარმოებნი ისეთ გენიოსთა, როგორნიც იყვნენ შექსპირი, მოლიერი და სხვანი.

## ლაქიობა პუბლიცისტიკაში

თვითმპყრობელს თვითმპყრობელობა მოსწონს, ბატონს—ბატონობა, მდიდარს—სიმდიდრე. და განა ეს საოცარია? სრულიადაც არა.

თვითმპყრობელი თავის თვითმპყრობელობით თითონ თავისუფალია, სხვები-კი იმის ყურმოჭრილი მონები არიან. ბატონი თავის ბატონობით თითონ ბატონია, სხვები კი იმისი ყმები არიან. მდიდარი თავის სიმდიდრით თითონ მაძღარია, სხვები მშივრები არიან. რატომ არ უნდა მოსწონდეს? მოსწონს, მაგრამ ის კი მაინც ესმის და კარგადაც ესმის, რომ მონას და ყმას თავისუფლებისაკენ, ხოლო მაშვრალს და მწყურვალს სიმდიდრისაკენ ხელის გაწვდა ცოდვად ვერ ჩაეთვლებათ. თვითმპყრობელს, ბატონს და მდიდარს სძულს თავისუფლების და სიმდიდრის მოსაპოებლად ამართული მონა, ყმა და მუშა, მაგრამ სძულს, როგორც სახიფათო მტერი, და არა როგორც ცოდვის მატარებელი, ზნეობრივად დაცემული არსება. სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების დამამყარებელი თავისი უპირატესი მდგომარეობა მოსწონთ, მაგრამ ეს მდგომარეობა მათ ზნეობრივ ღირებულებათა პრინციპად კი მაინც არ მიაჩნიათ.

სულ სხვაა ამ უპირატეს მდგომარეობაზე იმ ადამიანთა შეხედულება, რომელთაც თითონ არც თვითმპყრობელობა აქვთ, არც ბატონობა, არც სიმდიდრე, მაგრამ არც მონები და ყმები არიან და არც მშივრები, არამედ ბატონთა და მდიდართა სუფრის გარშემო ტრიალებენ, მათის ნასუფრალით იკვებებიან და, რომ სუფრიდან შორს განდევნილ არ იქნან, სუფრაზე მსხდომთა მდგომარეობას ქებათა-ქებას ასხმენ, დიდებულ გვამებს თაყვანს სცემენ და მოწიწებით შესცქერიან თვალში. ნასუფრალის ამკრეფნი მხოლოდ იმისთვის და მხოლოდ იმ დრომდე შეიგუებიან თვითმპყრობელთა, ბატონთა და მდიდართა მიერ, ვიდრე ერთგულად ე. ი. წარბ შეუხრელად და განუზომელად ამებენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, დაუღალავად მოსთქვამენ მათს „უზენაეს“ ღირსებებს და უბრუნებენ იმ გაწვრილებულს სიმს, რომელიც სინიდისის ხმაზე ნაზად გაიძახის ხოლმე: „შენი თვითმპყრობელობა—სხვათა მონობაა,“ „შენი ბატონობა—სხვათა ყმობაა,“ „შენი სიმდიდრე—სხვათა სიღარიბეა,“ „შენი ბედნიერება—სხვათა უბედურებაა“. ნასუფრალით მცხოვრებნი და ნასუფრალით ცოცხალნი ძლიერთა უპირატეს მდგომარეობას უბრალო მდგომარეობად კი არა, პრინციპად აღიარებენ და სწორედ ამით განირჩევიან თვით ძლიერთაგან. აღიარებენ, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ თითონ მაინც სჯეროდეთ თავისი სიტყვა. სრულიადაც არა. ეს მხოლოდ ხარკია, რომელსაც იგინი გადიხდიან, რათა ნასუფრალის ალაგება არ დაუშალონ. როგორც ცბიერნი ქურუმნი, გულში თითონ ისინი ჩირადაც არ აგდებენ თავის სიტყვებს, თავის გალობას, თავის ჰიმნებს. ერთგულნი არიან სუფრაზე გაჭიმულ ძლიერთა გვამებისა, ვიდრე ამ უკანასკნელთ ბედი სწყალობთ და ვიდრე თავის სიტყვიერების სასყიდლად სხვაგან სადმე უკეთეს ნასუფრალს არ შეიგულებენ. ხოლო თუ უეცრივ ახალი რამ სუფრა დაინახეს, თუ იქ უკეთესი ნასუფრალი იგრძნეს, მყის იქითკენ გაეშურებიან და, რათა ახალ ბატონებს ერთბაშად მოაწონონ თავი, წინანდელზე მეტის ენერგიით იღვწიან, მეტის ერთგულებით სთხზავენ ახალ ჰიმნებს, მეტის პირმოთნეობით ეთაყვანებიან ახალ კერპებს და მეტის შეუპოვრობით ანიავებენ ძველ ბატონების მათ მიერვე პრინციპად გადაქცეულ უპირატესობის მდგომარეობას. ახალი ლაქია ძველ-

ზე მეტად აამებს ბატონს, თუ ჭკვიანია და ხელმარდი, ხოლო გულმოდგინებით კი ყოველთვის უფრო გულმოდგინეა. ლაქია, რაც უფრო ხშირად იცვლის ბატონს, მით უფრო ქლესაა, თუმცა სამაგიეროდ მით უფრო წააგავს იმისი ქლესური სამსახური გულწრფელობის თეთრ ფიცარზე თვალთმაქცობის წითელ ფერადებით დახატულს სურათს.

ნასუფრალის ამკრეფობა, ლაქიობა და თვალთმაქცობა ქურუმებისა ისეთივე ძველი რამ არის, როგორც უთანასწორობა ადამიანთა შორის. მაგრამ ეს ლაქიობა ადამიანთა ცხოვრების ყოველ სფერაში ერთნაირად არა სჩანს. ზოგან იგი დიდს ხანს სრულიადაც არ არსებობს. აი, მაგალითად, უკანასკნელ დრომდე სულ არ არსებობდა ლაქიობა ქართულს მწერლობაში. აქ ყველანი გულწრფელად იღვწოდნენ. ყველანი მართალნი არ ყოფილან, ბევრს საეჭვო კერპი და ღმერთი ჰყოლია, ბევრს უმტყუნია სიმართლისთვის, მაგრამ ეს ყოფილა შეცდომა, გულწრფელი შეცდომა და არა ლაქიობა, არა სალიტერატურო ქლესაობა. ეხლა კი, ქართულ მწერლობასაც შემოეპარა იგი.

ჭირი გამჟღავნებული სჯობიაო. ჩვენც ვამჟღავნებთ.

—

სალიტერატურო ლაქიობა ჩვენს პრესაში ერთი ჯურის პუბლიცისტებს რაოდენადმე კაი ხანია ეტყობა. რა არის, თუ არ სამარცხვინო ლაქიობა, როცა რომელსამე პუბლიცისტს თავის აზრის სიმართლის არგუმენტად ის მოჰყავს, რომ ჩემი მიმართულება ხალხის გულის მესაიდუმლე მიმართულებაა, თვით ხალხს ჰკითხეთ, თუ ის არა ჰსურდეს, რასაც მე ვამბობო. ეს ლაქიური პუბლიცისტობაა, მაგრამ ამ ლაქიობაში ჩაქსოვილი ქლესობა ზოგჯერ შეიძლება ფანატიკოსობის ნაყოფი იყოს და არა პირმოთნეობისა. ამიტომ დღემდე ამ პუბლიცისტებისთვის ჩვენ არც დაგვიწამებია ქლესობა და ქართულ პრესსის წმინდათა წმინდის შერყვნა. ეხლა კი, როცა ისეთ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს ვკითხულობთ, როგორსაც ბ-ნი ყარიბი იძლევა „ჩვენი გზის“ და „სიმართლის“ ფურცლებზე, აღარ შეგვიძლიან ეს ქლესობა არ დავინახოთ და საკუთარი სახელი არ მივცეთ იმას, რის მოწამეცა ვართ.

ბ-ნ ყარიბის ბიოგრაფია არ გვაინტერესებს, მაგრამ მოვაგონებთ კი მკითხველს, რომ იგი რევოლიუციის მძვინვარების ხანაში ბ. პართენ გოთუას გაზეთში ვარჯიშობდა, ხოლო ეხლა კი ქართულ პრესსას დაუბრუნდა და სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთებში პუბლიცისტობს. რევოლიუციის მძვინვარების დროს ქართულად პირველად დაიწყეს ყოველ დღიურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის გამოცემა. სად იყო მაშინ ბ-ნი ყარიბი? ამ დროს სოციალ-დემოკრატები კავკასიის ერთ-ერთ კონფერენციაზე ადგენენ, ვინაიდან სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა ბურჟუაზიულ პრესსაში პროლეტარიატის კლასსურ შეგნებას აბნელებს, ამიტომ ბურჟუაზულ გაზეთებში სოციალ-დემოკრატებს წერა ეკრძალებათო. მაშ რისთვის და როგორ თანამშრომლობდა ბ-ნი ყარიბი პართენ გოთუას გაზეთებში? ეს პარტიული დისციპლინის დარღვევაა; ჩვენის შეხედულებით, ასეთი სასტიკი დისციპლინა და ასეთ დიქტატორულ ფირმანების გაცემა შესაწყნარებელი არ არის, ამიტომ ბ-ნ ყარიბს პასსივში არ ვუთვლით პართენ გოთუასთან ამხანაგობას. მაგრამ სწორედ ამ დროს გაცხარებული კამათი სწარმოებდა ქართულ პრესსაში ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ. სოც.-დემოკრატები თავგადაკლულნი უარჰყოფდნენ მას, ს.-ფედერალისტები თავგანწირულნი იცავდნენ. სად იყო მაშინ ბ-ნ ყარიბის სოციალ-დემოკრატობა, როგორ მოახერხა მან ისეთ გაზეთში მუშაობა, რომელიც, თუმცა სოც.-ფედერალისტთა მიმართულების გამომხატავი არ ყოფილა, მაგრამ პოლიტიკურ ავტონომიას კი ფიცხად იცავდა? როგორ შეეგუა ბ-ნ ყარიბის პუბლიცისტური სინდისი ისეთ გაზეთს, სადაც იმ საკითხის შესახებ, რომელიც თითქმის მთელ საქართველოს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ჰყოფდა, არა სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებს ანვითარებდა?

ეს, ვთქვათ, კომპრომისსი იყო. შეუწყნარებელი, პიროვნების დამამცირებელი კომპრომისსი, მაგრამ მაინც მხოლოდ კომპრომისსი და არა თვალთმაქცობა, არა პირმოთნეობა, არა პუბლიცისტური ლაქიობა და ქლესობა. ეს კომპრომისსი ბ-ნ ყარიბის პასსივშია ჩასაწერი, მაგრამ იმ რუბრიკაში კი არა, სადაც პუბლიცისტური ქლესობა უნდა ჩაიწეროს.

გადავხედოთ ეხლა ბ-ნ ყარიბს ახალ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. გადავხედოთ იმას, რაც მისმა კალამმა „ჩვენი გზის“ საკვირაო ფელეტონში დასწერა.

ბ-ნ ყარიბის პუბლიცისტურ განკარგულებაშია შემდეგი ფაქტი: სოც.-ფედერალისტებმა სათათბიროს პირველსა და მეორე არჩევნებზე ამომრჩევლის კანდიდატად წამოაყენეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მაგრამ იგი არჩეული არ ყოფილა; მესამე არჩევნებში სოც.-ფედერალისტებს მონაწილეობა არ მიუღიათ; ბ-ნი ანდრონიკაშვილი კი აირჩიეს ამომრჩევლად, მაგრამ არა სოც.-ფედერალისტებმა, არამედ მემამულეებმა; „რაც მათ (ე. ი. ს.-ფ—ბმა) ვერ შესძლეს, ის ქართველმა მსხვილმა მემამულეებმა ადვილად მოახერხეს და ანდრონიკაშვილი „ვიბორშჩიკად“ გავიდაო“, სწერს ბ-ნი ყარიბი. ბ. ანდრონიკაშვილმა საარჩევნო კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, საიდანაც გამოირკვა, რომ იგი ეხლა კადეტების მომხრე ყოფილა.

ესაა ბ-ნ ყარიბის ფაქტიური მასალა. იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ პირველ ორ არჩევნების დროს ს.-ფედერალისტთა კანდიდატად ნამყოფი ანდრონიკაშვილი მესამე არჩევნების დროს კადეტად გამოეცხაურა ხალხს? ორში ერთი უნდა იყოს. ან ბ ნ ანდრონიკაშვილს თავისი პოლიტიკური რწმენა უნდა შეეცვალა პირველ ორ არჩევნების შემდეგ და ან სოციალისტ-ფედერალისტებს იმ არჩევნების დროს სხვა პარტიის კაცი უნდა დაესახელებინათ თავის კანდიდატად. პირველი ახსნა არის ახსნა ბუნებრივი, მარტივი და ადვილად გასაგები; მეორე კი ხელოვნური, რთული და ძნელი წარმოსადგენი. პირველი იგულისხმებს პიროვნებს მიერ თავის სოციალურ და პოლიტიკურ ან ტაქტიკურ შეხედულებათა ცვალებადობას, მეორე კი—სიყალბეს, სიფლიდეს და ცბიერებას. გულწრფელი პუბლიცისტი გულწრფელობის გულისხმობით განმარტავდა ამ ფაქტს, ღვარძლიან სიფლიდეს და სიყალბეს კი ის პუბლიცისტი იგულისხმებს, რომელიც თავის საკუთარ გულში ატარებს სიფლიდესაცა და სიყალბესაც.

ბ-ნ ყარიბს რომ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე კომპრომისსების ჩადენა არ ეუცხოვება, ეს იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ იგი კარგა დიდ ხანს ედგა გვერდში ბ-ნ პართენ გოთუას. ხოლო რაკი მას კომპრომისსების ჩადენა არ ეთაკილება, აბა მითხარით, რისთვის ითაკილებს საზოგადოებრივ მნიშვნელობის ფაქტების ასახსნელად სიფლიდის და სიყალბის გულისხმობას. კომპრომისსი სიფლიდის მეზობელია, გულწრფელობისა კი მოპირდაპირე. ბ-ნი ყარიბი არხეინის გულით ბრძანებს, სოც.-ფედერალისტთა პარტიამ იყალბა, კანდიდატად ისეთი პირი წამოაყენა, რომელსაც არაფერი არა ჰქონდა საერთო სოციალისტურ და რევოლიუციონურ მიმართულებასთან და რომელმაც ამიტომ ბოლოს თვით ის პარტია „გაროზგა“, რომელმაც იგი ორჯელ კანდიდატად დაასახელაო.

სიყალბე და ფლიდობა, ბ-ნ ყარიბის შეხედულებით, ის სუბიექტიური ნიადაგია, რომელზედაც გაიზარდა პირველ ორ არჩევნების დროს სოც.-ფედერალისტთა პარტიაში ბ-ნ ანდრონიკაშვილის კანდიდატურა. მაგრამ ამ სიყალბეს აუცილებლად განსაზღვრული მიზანიც უნდა ალმოეჩინოსო, ბჭობს ბ-ნი ყარიბი, რადგან ეეჭვება, უამისოდ გასავალი რამ ექონიოს მისმა „პუბლიცისტურმა ნაწარმოებმა“. ვინ დამიჯერებს, განა არ მეტყვიან, აბა რა სარფა ჰქონდათ სოც.-ფედერალისტებს, რომ ასეთი სიყალბე ჩაედინათო?—ეეჭვება ბ-ნ ყარიბს და სთხზავს იმ მიზანს, რომელმაც მისი შეხედულებით აიძულა სოც.-ფედერალისტები სწორედ ამ სიფლიდის სუბიექტიურ ნიადაგზე დამდგარიყვნენ.

აი ეს მიზანიც.

სოც.-ფედერალისტებში „ჯერ კიდევ ძლიერია კერპ თაყვანისცემის საჭიროების გრძნობა. მათ შეიგნეს, რომ მათი სიცოცხლის დედა ძარღვი მხოლოდ ხალხის თვალების ამბა და ცრუ მორწმუნეობის გავრცელებაა და სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ გამარჯვებით გულდათუთქულმა ფედერალისტებმაც ამ ერთად ერთ იარაღს მიმართეს. ნამდვილი პოლიტიკური მუშაობის ნაცვლად მათ შექმნეს თავისი ფეტიში, თავისი მუხის წმინდა გიორგი და ქართველ საზოგადოებას მიაჩეჩეს ხელში სათაყვანოთა და საქებ-სადიდებლად. ეს ფედერალისტების მუხის წმინდა გიორგი პეტერბურგში კარგად ცნობილი ადვოკატი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი გამოდგა“ და სხვა. ხომ მიჰხვდით, მკითხველო, სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი. ს.-ფედერალისტებს ხალხის დაბრმავება სდომებიათ, დასაბრმავებლად საჭირო ყოფილა კერპი ანუ ფეტიში, ფეტიშის შესაქმნელად საჭიროდ ქცეულა სიყალბე; აულიათ და უყალბნიათ, უფლიდნიათ და ფეტიშად გამოუცხადებიათ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

ეს არის ბ-ნ ყარიბის ღრმა პუბლიცისტური ახსნა ფაქტისა. მაგრამ იგი მეტად საეჭვო თეორიას ჰგავს და როგორღაც თითონ[illegible] [illegible] დამიჯეროსო, თეორია—თეორიაა. მაგრამ იმასაც [illegible] [illegible] თლება—განა არ მეტყვიანო, ფიქრობს ბ-ნი ყარიბი და ეძებს ფაქტებს, მაგრამ არა... არც კი ეძებს, სთხზავს. დიახ სთხზავს. აი ფაქტებიც:

1) ქართველი ს.-ფედერალისტებიავრცელებდნენო ამ ცრუმორწმუნოებას, ბრძანებს ბ-ნი ყარიბი, რომ თუ ანდრონიკაშვილი წავიდა „დუმაში“, საქართველოს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფსო.

2) როცა „მსხვილმა მემამულეებმა“ მესამე არჩევნებში ანდრონიკაშვილი ამომრჩევლად აირჩიეს, ფედერალისტები წელში გაიმართნენ, პოლიტიკური სიცოცხლის გამქრალი იმედი კვლავ გაეღვიძათ და ასტეხეს „განგაში“: ანდრონიკაშვილი და ანდრონიკაშვილი! ეს არის დიდი ორატორი, გამოჩენილი ადვოკატი, ერთი სიტყვით „მარილი საქართველოისა“.

3) ანდრონიკაშვილმა საარჩევნო კრებაზე კადეტების ქება მოაყოლა და მით დამარცხებულ იქმნა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ თვითონ ფედერალისტები აიღებდნენ იმაზე ხელს, მაგრამ... თქვენ არ მომიკვდეთ, ისინი ბოლომდე იმის ერთგულ მეხოტბედ დარჩნენ.

4) დამარცხდა ანდრონიკაშვილი და მასთან ერთად დამარცხდნენ ქართველი ფედერალისტები.

აი, ესეც ფაქტები! ვგრძნობ, რომ ჩემი მკითხველი იკივლებს, ეს ფაქტები კი არა, ყარიბის ფანტაზიაა! აბა რომელმა ს.-ფედერალისტმა სთქვა ესა და ეს, აბა როდის იყო ესა და ეს. შეიძლება, მკითხველი ჩემგან ამ ფაქტების დაღაგებითს დარღვევასაც ელოდდეს, მაგრამ ამაოდ. მე ამას არ ვკისრულობ. ან კი რა საჭიროა? ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ თვით ბ-ნმა ყარიბმა არ იცის ამ ფაქტების სიყალბე? ნუ თუ ჰფიქრობთ, რომ თვით ბ-ნ ყარიბს სჯერა იმის სიმართლე, რასაც იმისი „უხვი“ კალამი ჰბოდავს?

ტყუილი ფიქრია. ბ-ნი ყარიბი არც ისე ბრმა არის, თქვენ რომ გეფიქრებათ, პირიქით, ძალიან თვალხილულიც არის და მოქნილი ენის პატრონიც. აბა ბ-ნ ყარიბს მაშინ დააცქერდით, როცა მას თავისი სექტის ქურ-

---

# ფელეტონი

## ცოტა რამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას წიგნის შესახებ

(შემდეგი*)

[ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას კრიტიკა კომუნიზმისა სულ ჩვეულებრივის შეცდომებით არის სავსე. ნ. ჟ—ნიას ჰგონია, რომ პრუდონი იყო დამცველი კაპიტალიზმისა და კერძო საკუთრებისა, იმიტომ რომ მან პრუდონი არ იცის, და ვერც მისი ენა შეუსწავლია და გაუგია. მართალია, პრუდონი არც კროპოტკინის მაგავსი კომმუნისტი იყო, მაგრამ იგი იყო მუტუალისტი. იმის მუტუალიზმის თეორიას კი ისეთი სოციოლოგიური საფუძველი აქვს, რომ ამ მხრით პრუდონი ათასჯერ აჭარბებს თვით მარქსს თავის გენიოსობით. მაშინ როდესაც პრუდონი ეძებდა ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციის შეცვლის დახასიათებას თვით საზოგადოებრივობის შეცვლაში, ურთიერთ განწყობილებათა საუკეთესო შესაძლებელ ორგანიზაციაში—მარქსი იძახოდა, ხელის წისქვილი ფეოდალიზმსა ჰქმნისო. თანამედროვე სოციოლოგიამ ნათელ-ჰყო ეხლა, რომელი მათგანი იყო მრთალი. პრუდონმა იმდენი გენიოსური აზრი ჩასთესა სოციოლოგიის შთანაჩენში, რომ ჯერაც არ განვითარებულა სავსებით მისი აზრები; მათი განვითარება შეიძლება მთელის სოციოლოგიის შექმნაც იყოს!] ყოველივე ეს ბ-ნმა ნ. ჟ—ნიამ არ იცის და არც ის იცის,—თუ რა არის პრუდონის „საკუთრება“. იმის თანამედროვე ეკონომისტთა ენას, აგრეთვე თვით პრუდონის ორიგინალურ ენას მთლად დაუბნევია იგი და ჰგონია, პრუდონი კაპიტალისტურ ექსპლოატაციას იცავს, ასსოციაციას ებრძვისო და სხვ. [ პრუდონის იდეალი ის იყო, რომ საზოგადოება დამყარებული ყოფილიყო კაცთა ურთიერთ განწყობილებათა ორგანიზაციაზედ, რომ თავისუფალი კონტრაქტი და მისგან გამომდინარებული საკუთრება, ე. ი. ადამიანისაგან ინტეგრალური შრომის ნაყოფის მიღება ყოფილიყო განხორციელებული საზოგადოებაში. მისი „ექვილიბრიუმი“ საკუთრებისათვის, მისი უმაღლესი პრინციპი „სამართლიანობისა“ და სხვა—ეს მხოლოდ მეორე ხარისხოვანი ცნებანი არიან, ეს მისი წესია, მისი ენაა ესჯელობაში ან არგუმენტაციაში ნახმარი, სოციოლოგიური ღრმა აზრი კი—თავისუფალი კონტრაქტუალიზმია, რომელიც სრულიად უარ ჰყოფს **თანამედროვე იურიდიულ ნორმით დადგენილ საკუთრებას**; იგი აღიარებს ისეთ საკუთრებას, რომელიც გამომდინარეობს ერთად-ერთ პრუდონის მიერ აღიარებულ იურიდიულ ნორმიდან; თავისუფალი კონტრაქტი, რომელიც თვით აღსრულებული უნდა იყოს,—აი დედა აზრი პრუდონისა. პრუდონმა კარგად იცოდა, რომ თანამედროვე საკუთრება, კაპიტალიზმი, ეს მხოლოდ ერთი წესია ადამიანთა შორის განწყობილებათა მოწესრიგებისა, და მასთან უვარგისი წესი, რომლის წარმოშობაში კონტრაქტთან ერთად ძალმომრეობასა და ათას სხვა ავტორიტარულ ფაქტორს დიდი როლი უთამაშნიათ. ამიტომაც სურს მას კონტრაქტიდან განდევნოს ელემენტები ავტორიტეტისა და ისე მოაწყოს ეს მოწესრიგება, რომ მას თავისუფალი მორიგების ხასიათი ჰქონდეს. ერთის სიტყვით, მან იცის **საზოგადოდ**, რა არის **საზოგადოება**, და კერძოდ, როგორია კონკრეტულად თანამედროვე საზოგადოება, და მას სურს ამ კონკრეტულ შინაარსის გამოცვლა და საზოგადოების საყოველთაო ფორმაში სხვა ისეთი კონკრეტულ შინაარსის შეტანა, რომელიც შესაძლებელ ჰყოფს პიროვნების ბედნიერებისა და კეთილდღეობის მაქსიმუმს ადამიანთა ურთი-ერთ განწყობილებათა ორგანიზაციით, როგორც საკუთრებისა, ისე ყოველ სხვა მხრივ კაპიტალიზმი პრუდონს მაშინა და ვაჭრობა მრეწველობა კი არ ეგონა, როგორც ესა ჰგონია ბევრ ძველსა და ახალ მარქსისტს, არამედ ერთგვარი წესი იურიდიულ ნორმათა, რომლებიც ეხებიან განსაკუთრებით საკუთრებას, და აქ არის იმისი მიზეზი რომ იგი არ ესმით ჩვენ ბრძნებს. თვით შტამლერის აზრით განსაზღვრულ წარმოების წესი მშვენივრად ეგუება სოციალურ ცხოვრების მოწესრიგების სხვა და სხვა ფორმებს, რომელთა გამოცვლა სრულიადაც არ არის დამოკიდებული უწინარეს ყოვლისა წარმოების წესისაგან. ამიტომაო, დასძენს შტამლერი, არც სენ-სიმონის სკოლა სცდებოდა, როცა იგი მემკვიდრეობის მოსპობით ეძებდა სიმდიდრის განაწილების ახალ მოწესრიგებას,—არც პრუდონი იყო შემცდარი, როდესაც იგი საჭიროდ არა სცნობდა წარმოების წესის ტრადიციონულ ფორმათა მოსპობასა და მხოლოდ გაცვლა გამოცვლისა და განაწილების ახალ მოწესრიგებას თხოულობდაო. ეს იმიტომ, რომ შტამლერს სულ სხვა წარმოდგენა აქვს სოციალურ ცხოვრებაზედ, წარმოების წესზედ, ეკონომიურ მოვლენაზედ, კაპიტალიზმსა და საკუთრებაზედ; პრუდონსაც სხვა წარმოდგენა ჰქონდა, ჩვენს ბრძნებს კი სხვა: ამათ არც პრუდონის ენა იციან და არც ერთი სოციალური ცნება, რომელსაც იკვლევს თანამედროვე სოციოლოგია.]

საზოგადოდ, ვინც იცის პრუდონი—ელცბახერი, დე-გრეფი, შტამლერი, ასე გასინჯეთ, მარქსისტი სორელიც—დიდად აფასებენ მას და მის შრომებში ჰხედავენ სამ რამეს — წესს საზოგადოებრივ ტრანსფორმაციისას, უარყოფას მთელის თანამედროვე საზოგადოების წყობილებისასა და სოციოლოგიის შთანაჩენებს; ჩვენი მეცნიერი ნ. ჟ—ნიას კი, რასაკვირველია, იქ ვერაფერს ვერა ჰხედავს, ვერას იძენს ცუდად გაგებულ სიტყვების მეტსა და, აჰა, პრუდონი, ცხვირ-პირ ჩამტვრეული ნ. ჟ—ნიასაგან, რომელსაც მე-XIX საუკუნის მეცნიერება არ გამოჰპარვია! ეჰ, ბ-ნო ნ. ჟ—ვ, ვის ატყუებთ,—ქართველებს? მაგრამ არც მაგრე ეს საქმე, თქვენ რომ გგონიათ!..

[ როგორც პრუდონი იყო მტერი ასსოციაციისაც კი თანამედროვე საზოგადოებაში და კონტრაქტი მას მხოლოდ თავისუფლების დროს მიაჩნდა საზოგადოების საფუძვლად, აგრეთვე ბაკუნინსა და თვით პრუდონსაც კომმუნიზმი ეჯავრებოდათ, როგორც ავტორიტარული სახელმწიფო, იმიტომ რომ მაშინდელი კონცეპცია კომმუნიზმისა, განსაკუთრებით გერმანულ კომმუნიზმისა, ავტორიტარული და სახელმწიფოებრივი იყო. ბაკუნინი იყო კოლლექტივისტი, დაახლოვებით ისეთი, როგორც ვარლენი, დე-პაპი და სხვანი და მათ „კოლლექტივიზმი“ ამ ავტორიტარულ კომმუნიზმისაგან გასარჩევად მოიგონეს, თუმცა შემდეგ თვით მარქსისტებმა მიითვისეს ეს სახელწოდება, ანარქისტებმა კი კომმუნიზმი. ამითი აიხსნება ბაკუნინის მტრობა კომმუნიზმისადმი. ბ-ნ ნ. ჟ—ნია კი ვერ არჩევს მე-48 წლის კომმუნიზმს, მას ერთი ფორმა კომმუნიზმისა და მისი საზოგადო ფორმა ერთი და იგივე ჰგონია და გაიძახის—ბაკუნინი კომმუნიზმის მტერი იყოო. ასეთ ლოგიკის კაცს, რომელიც საზოგადო ფორმასაც ვერ არჩევს სპეციალურ ფორმისაგან, რა უნდა ელაპარაკო. დავანებოთ აგრეთვე თავი ბ-ნ ნ. ჟ—ნიას მიერ წამოყენებულ გადაღეჭილ არგუმენტებს ანარქიულ კომმუნიზმის წინააღმდეგ. იმის აზრით, ეს ორი ცნება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ნამდვილად კი ბ-ნმა ნ. ჟ—ნიამ არ იცის, რა არის ანარქიზმი, იმიტომ მოსდის ასეთი შეცდომა. მას ანარქიზმი ჰგონია საზოგადოების უარ-ყოფა, ორგანიზაციის უარყოფა, საზოგადოების ორგანოთა და ფუნქციათა უარ-ყოფა,—ერთის სიტყვით მას ნამდვილი პოლიტიკური წარმოდგენა აქვს ანარქიზმზედ; ანარქია ნიშნავს ისეთ საზოგადოებას, სადაც „არც ღმერთია, არც ბატონი“, ე. ი. სადაც ყველა ორგანო საზოგადოებისა ისეთ ნაირად ასრულებს თავის ფუნქციებს, რომ შეიარაღებული ძალდატანებითი ელემენტი, აგრეთვე დოგმების შიში და ინკვიზიცია იქ არ არსებობს, არამედ უკვე დადგენილია თავისუფალი ხელ-შეკრულობა, რომელიც დამყარებულია წმინდა ეთიკურსა და აგრეთვე ეგრედ წოდებულ ატტრიბუტივურ ნორმებზედ. თანამედროვე სოციოლოგიამ გაარკვია, რომ დღესაც კი არის საზოგადოებაში ისეთი ორგანოები, საიდანაც განიდევნა ასეთი ავტორიტარული ელემენტი და გამეფდა **დაახლოვებით** თავისუფალი კონტრაქტი, რომ ტენდენცია საზოგადოების ევოლიუციისა ამ ძალდატანების ყველა ორგანოებიდან განდევნისაკენ არის მიმართული. თუ კი საზოგადოება, მაგალითად, საფრანგეთისა, მოეწყობა ისე, რომ ყველა მისი შინაგანი ორგანოები არ შეიცავენ ძალდატანებით ელემენტს, გარეგანი ორგანოებით კი იგი სხვა საზოგადოებას შეუერთდება, თუ კი, მაგალითად, დღევანდელი ეკონომიური, იურიდიული და პოლიტიკური ორგანოები, აგრეთვე ინტერნაციონალური ორგანოები განდევნიან ავტორიტარულ ელემენტს, და ამით დაემსგავსებიან საზოგადოების მეცნიერულ, არტისტიულსა და სხვა ორგანოებს, თუ აღარ იქმნება აღარც ჯარი, აღარც პოლიცია, აღარც ციხეები, აღარც ომი,—აი ეს ნიშნავს, კონკრეტულად რომა ვთქვათ, ანარქისტულ საზოგადოებას. როგორ შეიძლება ასეთ საზოგადოებას კომმუნიზმი ეწინააღმდეგებოდეს? ასეთ საზოგადოებაში მწარმოებელი კომმუნები (თუ გინდ უუმცირესნი) ისეთნაირად არიან შეკავშირებულნი მთელი

---

*) იხ. „ისარი“ № 232.

უმი შემოეყრება გზად: დააცქერდით კარგად, და თქვენ უეჭველად დაინახავთ, რომ ორთავეს ღიმი აუქროლდებათ ტუჩზე. რატომ?—იმიტომ რომ ორივემ კარგად იციან, რა ფასი აქვს მათს პუბლიცისტურ ღვთის მსახურებას.

ბ-ნი ყარიბი, მაგალითად, ერთმანეთში ურევს სოც.-ფედერალისტებს, ფედერალისტებს, ავტონომისტებს, მემამულეებს, გვაზავას და სხვა. მერე თქვენ თუ გგონიათ, რომ ეს ისეა ფაქტიური შეცდომით მოსდიოდეს? აბა რა დასაჯერებელია! ბ ნმა ყარიბმა, რა თქმა უნდა, იცის, ძლიერ კარგად იცის, სად თავდება სოც.-ფედერალისტი და სად იწყება ავტონომისტი, იცის თუნდ იმიტომ, რომ ბ-ნ გოთუას გაზეთში მუშაობდა ერთ დროს, მაგრამ ამ „ფაქტიურ შეცდომას" მაინც ვერას დროს ვერ გაასწორებინებთ. ეს „შეცდომები" რომ გაისწოროს, რაზედ ღა დაამყარებს თავის ფილიპიკებს სოც.-ფედერალისტთა წინაალმდეგ?

ზემოდ ჩვენ ვნახეთ, როგორ ეხერხება ბ-ნ ყარიბს **კომპრომისსების გაკეთება** და ეს იმას პასსივში ჩავუთვალეთ. მაგრამ რა ეწოდება იმ თვისებას, რომელიც გამოიხატება კალმის კილოს ცვალებადობაში იმისდა მიხედვით, თუ სად უნდა დაიბეჭდოს ამ კალმის ნაწარმოები, პ. გოთუას კომპრომისსების გაზეთში, თუ სოციალ-დემოკრატიულ მხედრულ პრესსაში, რა ეწოდება ამ ცვალებადობას, როცა იგი ემყარება განზრახ ყალბად შექმნილ ფაქტებს—ეს დაე თვით მკითხველმა იანგარიშოს.

დღეს ეს ვიკმაროთ, ხვალ კი ბ. ყარიბის სოციალ-დემოკრატიულ აპოლოგიას გავუსინჯავთ კბილს.

## ახალი ამბავი

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა ქართული ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი გზა". ადმინისტრაციამ დაბეჭდა კანტორა და რედაქცია გაზეთისა.

✦ **კომისია.** 22 ოქტომბერს ქართველმა ქალებმა ილია ჭავჭავაძის ფონდის შესადგენად აირჩიეს განსაკუთრებული კომისია 24 წევრისაგან. კომისიას დაევალა იმოქმედოს წ.-კ. საზოგადოების გამგეობასთან შეთანხმებით.

✦ **ბრძანება მედროგეების შესახებ.** გუშინ ტფ. პოლიცმეისტერმა ბრძანებანი დაუგზავნა პოლიციელებს. მან დაავალა პოლიციას, ქალაქის დიდს ქუჩებში მოსეირნე ხალხს უსიამოვნება ააშოროს მედროგეებისა, მეურმეებისა და მეტაჰკეების მოწოდებით. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის ქუჩიდან მოკიდებული საფოსტო ოლქის სამართველომდე, მედროგეებს, გარდა სამხედრო ნივთების გადაზიდვისა, ნება არ ექნებათ სხვა რამე გადაზიდონ.

✦ **მოქალაქეთა მამასახლისი.** ეს ხუთ თვეზე მეტი იქნება, რაც ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულებმა მამასახლისად აირჩიეს აფრიამოვი, ტფილისის ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერი, რადგან მამასახლისმა ს. ა. დანდუროვმა სამსახურს თავი დაანება. აფრიამოვი აქამდე არ დაუმტკიცებია ადმინისტრაციას, ხოლო ბ-ნი დანდუროვი, რომელიც რკინის გზის სამართველოში მსახურებს, თავს ვეღარ ართმევს საქმეებს, რადგან ორგან სამსახური ძნელია.

✦ **რკინის გზის იურისკონსულტი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის იურისკონსულტად, ამას წინად გადაცვალებულ დანილოვის ნაცვლად, დანიშნეს ნაფიცი ვექილი ილია ზურაბიშვილი, რომელიც აქამდე იურისკონსულტის მეორე თანაშემწედ იყო.

✦ **შაქარი ფუტკრისთვის.** ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რომ კავკასიის მეფუტკრეებს ნება მისცემოდათ ფუტკრის გამოსაკვებად უაქციზოდ შემოეტანად შაქარი, როგორც აქამდე იყო. ეხლა დეპარტამენტი საზოგადოებასატყობინებს: ზოგიერთებმა ისარგებლეს შეღავათიანის პირობებით შაქრის შემოტანით, ბოროტად მოიხმარეს იგი, ამიტომ დეპარტამენტი ამ საქმეს ისე მოაწყობს, რომ ხაზინას ზარალი არ მოუვიდეს; მანამდე კი სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა უყურადღებოდ იქნება დატოვებულიო.

✦ **უმაღლესი კურსები.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ი. აბულაძე განაგრძობს ლექციის კითხვას ამ თემაზე: „ქართულ ზმნათა შედგენილობა და მათი კლასიფიკაცია.

✦ **უკან დაბრუნება.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელნი ი. გომელაური, ნ. წუწუნავა და ა. მითაიშვილი სამასწავლებლო მთავრობის მიერ გადაყენებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობიდან და სრულიადაც განიდევნენ ქუთაისის გუბერნიიდან. ეხლა, როგორც გადმოგვცეს, აღნიშნულ მასწავლებლებს ნება დაერთოთ, ისევ დაბრუნდნენ ქიათურაში და განაგრძონ თავიანთი სამსახური.

✦ **გლეხების გაძარცვა.** ცარცვა გლეჯა ძალზე გახშირდა ტფილისში. ამ სამი დღის წინად ტფილისიდან 20 სოფლელი დაბრუნებულა შინ. სოფლელებს სხვა და სხვა საქონელი ჩამოუტანიათ ურმებით და ვირებით ქალაქში და გაუყიდნიათ. როცა სოფლელები მიახლოვებიან დიღმის მინდორს, თეთრ დუქანს ცოტა აქეთ, ვიღაცები დასცემიან თავს და ყველანი გაუცარცვავთ. ზოგისთვის წაურთმევიათ 2 მან, ზოგისთვის 5 მ., ზოგისთვის ნაკლები. გლეხები ისე შეშინებულან, რომ ოდნავადაც წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ. ან როგორ შეეძლოთ უიარაღოებს წინააღმდეგობა გაეწიათ.

✦ **ეკლესიის გაძარცვა.** 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდა რკინის გზის ეკლესიაში (სადგურთან) და გაიტაცა 300 მან. და ვერცხლის ჯვარი.

✦ **თოვლი.** 23 ოქტომბერს დამე ტფილისის გარეშემო გორები ჩამოთოვა და ქალაქში საგრძნობლად აცივდა.

✦ **საერთო თხოვნა.** ტფ. ქალაქის სასწავლებლების გამგეებმა საერთო თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. თხოულობენ ჯამაგირების მიმატებას.

✦ 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, ანანურის ქუჩაზე თავის სახლში ნახეს ჩამომხრჩვალი ვილჰელმ გროსსი, 47 წლის კაცი. გროსს დაუტოვებია ბარათი: „არა ღირს ცხოვრება და სხვების ხელის შეშლაო".

✦ ბ-ნ ი. გომელაურს გადმოუთარგმნია ქართულს ენაზედ ჰაუპტმანის 4 მოქმედებიანი დრამა „მიხეილ კრამერი". პიესას მთარგმნელი წარუდგენს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

✦ 19 ოქტომბერს საღამოთი სამების ქუჩაზე მცხოვრებ ტფ. მოქალაქეს იოსებ მურადოვს შეუვარდა 6 შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვეს. მძარცველებმა გაიტანეს ფულად 250 მან., ოქროს ორი ბეჭედი და მიიმალნენ.

✦ 29 ოქტომბრისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულებისა რამდენისამე საკითხის განსახილველად.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 21 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე, ქუთაისში რამდენსამე ადგილას მოხდა სახლების ჩხრეკა, რომელსაც დაესწრო ტფილისის პოლიციის წარმომადგენელი. პირველად პოლიცია და ჟანდარმერია, ყაზახების თანხლებით, შემოერტყა ის. კვიცარიძის ბინას, რომლის გაჩხრეკის შემდეგ თვით ბ-ნი კვიცარიძე წაიყვანეს და წავიდნენ „კოლხიდის" ამხანაგობაში. „კოლხიდის" გაჩხრეკის შემდეგ მჩხრეკელნი წავიდნენ ამავე ამხანაგობის სარდაფში, სადაც ინახება „კახეთის" ღვინოები. გარდა სარდაფისა, გაჩხრიკეს სხვა შენობებიც და საქმე იქამდის მივიდა, რომ ეზოში, საცა კი შეხვდათ ნათხარი მიწა, ისიც კი გაჩხრიკეს. შემდეგ ამისა მჩხრეკელნი ბ-ნ კვიცარიძისა და „კოლხიდის" ამხანაგობის მოსამსახურეთა მარჯანაშვილისა და ჩივაძის თანხლებით გადავიდნენ ამხანაგობის ფარდულში ბალახვანის ქუჩაზე და აქაც მოახდინეს ჩხრეკა. საეჭვო ვერსად ვერაფერი უპოვნიათ. ამავე დროს გაჩხრიკეს ქართულ გიმნაზიის მასწავლებლის იასონ ნიკოლაიშვილის ბინა, სადაც არაფერი არ დაუტოვებიათ უნახავი. წაიღეს მრავალი ხელთ-ნაწერი წიგნი. ჩხრეკის გათავების შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს.

✦ მომავალ თვეში შავი ქვის მრეწველთა საბჭო გადადის თ-დ ერისთავის სახლში ივანოვის ქუჩაზე, ხოლო ეხლანდელ ბინას საბჭოსას იჭერს ელექტრონის თეატრი.

✦ მრეწველთა საბჭომ ცნობა მიიღო პეტერბურგელ წარმომადგენლისაგან, რომ გზათა სამინისტრომ შესაძლებლად სცნო 40 ათას მანეთის სესხება საბჭოს საჭიროებისათვისაო.

✦ შავი ქვის მრეწველთა მიერ არჩეულ სტიპენდიების განმანაწილებელ კომისიის სხდომა მოხდება 31 ამ თვეს.

✦ კავკასიის უმაღლეს კურსების დამაარსებლებმა თხოვნით მიმართეს მრეწველთა საბჭოს, ფულით დახმარება აღმოგვიჩინეთო.

✦ 1905 წელს ქალაქის საბჭომ შესაძლებლად სცნო, რომ მეტლეებს არ გადახდოდათ ცხენების ხარჯი, მაგრამ საბჭოს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა არც გუბერნატორმა და არც ქალაქის საქმეთა საკრებულომ. მეტლეებმა, რომელთაც ამ ჟამად ახდევინებენ ამ ფულს, თხოვნით მიმართეს გამგეობას, შველის-ძველ ვალს ნუ გადაგვახდევინებთო.

✦ ქუთაისის ყასბებმა გაასაჩივრეს ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ხორცის ნიხრს დააკლდა 1 კაპეიკი. ყასბები თავის საჩივარს იმითი ასაბუთებენ, რომ საკვები ძვირია და საქონლის მოყვანა გაძვირებული. გუბერნატორმა ყასბების საჩივარი გადასცა ქალაქის გამგეობას. გამგეობამ დასაბუთებული პასუხი გაუგზავნა. ქუთაისის ყასბებს რომ ჰკითხოთ, საქონელი გაძვირებულია, ნამდვილად კი საკვების სიძვირის გამო ამ ჟამად საქონელი ჩალის ფასად იყიდება.

✦ მთავრობის პირველ საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ლულაძის მოედნის ნახევარი ჩამაბარეთო, თანხმად საბჭოს გადაწყვეტილებისა 4 დეკემბერს 1900 წელსა, ასეთი დადგენილება არსებულა და ქალაქის გამგეობა ვალდებულია მოთხოვნილება შესრულოს და ეს იმ დროს, როცა ქალაქი საზოგადოდ ღარიბია მოედნებით. ამას გარდა თვით ქალაქის მიერ დაარსებული სასწავლებლები თითქმის ყოველ წელიწადს იცვლიან ბინას, რადგან საკუთარი ბინა არა აქვს. თუ ქალაქს მაინცა დამაინც შეეძლო უძრავ ადგილის გაცემა, ის არა სჯობდა სასწავლებლისათვის გადაეცა და შესაფერი ბინაც აეშენებინა.

✦ ქუთაისის გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს და აღმაშენებელ კომისიას კვლავ ჰქონდა 19 ღვინობისთვეს თათბირი გიმნაზიის გეგმის შესახებ. თანახმად ბ-ნ ი. ოცხელის წინადადებისა, ინჟინერ სახაროვის მიერ შედგენილ გეგმის განსახილველად მოწვეულ იქნება კომისია ტეხნიკოსებისაგან.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**შატილი** (ხევსურეთი). შატილი საქართველოს ერთი განაპირა კუთხეა ხევსურეთში. ეს ადგილი შეზღუდულია მუდმივ დათოვლილის მთებით. შატილი ეკუთვნის თიანეთის მაზრას, მაგრამ შიდ-რვა თვის განმავლობაში მიმოსვლა შეწყვეტილია უგზოობისა გამო. წრეულს ხევსურები დიდ შიმშილობას განიცდიან, აქ ადრე მოვიდა თოვლი, დაიჭირა ყანები, რამაც მთელი წლის სარჩო მოუმკლად გაჰყინა. საკვირველი იქნება, თუ ქისტებივით ყაჩაღობასა და ცარცვა-გლეჯას არ მიჰყვეს ხელი აქაურმა ხევ-

საზოგადოების ერთ ორგანიზმში, რომ,—როგორც ტყუილად ბ. ნ. ჟ—ნიას ჰგონია,—შეუძლებელია კომმუნის წევრმა სთქვას—მომეცი ჩემი „საკუთრება", უნდა გავიდე კომმუნიდან და „კაპიტალიზმი" უნდა დავამყაროო. ვისაც „საზოგადოებაზედ" არავითარი წარმოდგენა არა აქვს, მხოლოდ მას შეუძლიან წარმოიდგინოს ასეთი ველური რამ მომავალ საზოგადოებაში. ჯერ ერთი, ასეთი რამ მომავალი ადამიანისათვის ხელ-საყრელი არ იქნება, მეორე—მას არ ათქმევინებს ასეთ რამეს თვით არსებული ფუნქციები და ორგანოები საზოგადოებისა, ისეთ აბსურდულ, გიჟურ ფანტაზიად მოეჩვენება იმ დროინდელ კაცს ასეთი სისულელის მოროშვა. შეიძლება მათ სხვა რამე სთქვან, შეცვლაც საზოგადოებისა, მაგრამ ეს შეცვლა იქმნება სწორედ მთელ არსებულ სოციალურ წყობილების თანახმად, და არა ისე, უსაფუძვლოდ და წარმოუდგენელის უცნაურობით. ბ. ნ. ჟ—ნიას ჰგონია, რომ კომუნათა დამოუკიდებლობა ნიშნავს მთელ საზოგადოების ორგანიზაციის უარ-ყოფას, მაგრამ ეს ტყუილად ჰგონია. კომმუნათა დამოუკიდებლობა ნიშნავს ცენტრალიზმის უარ-ყოფას მხოლოდ, **ისეთ ცენტრალურ** სახელმწიფოისას, რომელიც კაპიტალისტია, ერთად-ერთი კაპიტალისტი, რომელსაც ისეთი ორგანოები აქვს, რომ შეიარაღებულის ძალით, ძალ დატანებით აიძულებს მთელ ხალხს, **კანონის ძალით** (რომელიც თუ გინდ ამორჩეულთაგან იყოს შედგენილი) დაემორჩილოს ყოველთვის „კანონს", როგორიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი. „კანონი" კი შეიძლება იყოს საერთო სურვილი ყველასი ან უდიდეს უმეტესობისა, როდესაც უმცირესობა მიისწრაფის ნულისაკენ—მაშინ იგი კანონი აღარ არის, არამედ იგივე თავისუფალი კონტრაქტი, მაშინ ანარქიაა და არა სახელმწიფო; ან და იმავე უმრავლესობის სურვილი, როდესაც უმცირესობა თითქმის მთელის—საზოგადოების $1/2$-ს უდრის, ან უმცირესობის სურვილია,—მაშინ სახელმწიფოა, მაშინ საზოგადოებრივი ორგანიზმიდან ავტორიტეტი არ არის განდევნილი, საზოგადოებრივობა უსრულია, და არც **ანარქისტულ საზოგადოებაზედ**, არც **ანარქიულ** კომმუნაზედ შეიძლება ლაპარაკი.

**ანარქისტულ** საზოგადოებაში, იმავე კონტრაქტით, კომმუნისტური საკუთრებაც განსაზღვრული იქნება იმ ორგანოთა და ფუნქციათა თანახმად, რომელნიც შეადგენენ საზოგადოების ორგანიზმს,—თანახმად კომმუნალურ, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოთა და ფუნქციათა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საზოგადოება არის უწინარეს ყოვლისა მოწესრიგება ადამიანთა მოქმედებისა. ამ მოწესრიგებისაგან არის დამოკიდებული საკუთრების განაწილებაც. მოწესრიგება—ანარქიულია, კომმუნისტურ საკუთრებასაც შესაფერი შინაარსი და ფორმა ექნება—კომმუნალური, საიდანაც კერძო საკუთრების გამოყოფა და კაპიტალიზმის აღდგენა ისე, თუ ეს მოწესრიგება არ შეიცვალა, აბსურდია.

შეიძლება ასეთი საზოგადოება არ განხორციელდეს,—ეს სულ სხვა არგუმენტია და არა ლოღიკური არგუმენტი ანარქიულ კომმუნიზმის წინააღმდეგ. ჯერ საჭიროა ავტორმა იცოდეს, თუ რა არის „ანარქისტული" საზოგადოება, შემდეგ კი აღნიშნოს მისი წინააღმდეგობა კომმუნიზმისადმი. ანარქიზმი არ განხორციელდებაო,—ეს უფრო ისტორიულ არგუმენტს ეკუთვნის და ვნახოთ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას ისტორიული არგუმენტიც; ლოღიკური ხომ უბარია და ისტორიული კიდევ უკეთესი. არას ვტყვით იმაზედ, თუ როგორის ბავშურის არგუმენტით აბათილებს ბ-ნი ნ. ჟ—ნია კროპოტკინის მიერ მოყვანილ მრავალ კომმუნისტურ მაგალითს, შევნიშნავთ მხოლოდ მის არგუმენტებს ასსოციაციის, სოლიდარობის კანონის წინააღმდეგ, რომელსაც კროპოტკინი, მალატესტა და სხვანი საფუძვლად უდებენ მომავალ ანარქიზმის განხორციელების შესაძლებლობასა, და რომლითაც წარსულ „კომმუნისტურ" საზოგადოებათა არსებობას ხსნიან: „ახლა ვკითხოთ, სწერს ბ-ნი ნ. ჟ—ნია, რომელი საზოგადოება ემორჩილება სოლიდარობის კანონს? მას შემდეგ, რაც პირველყოფილი კომუნიზმი დაირღვა და კლასსები აღორძინდა, ჩვენ ვხედავდით არა სოლიდარობას, არამედ საზოგადოებაში გაჩაღებულ მუდმივ ბრძოლას. ძველი ქვეყანა, საშუალო საუკუნოები და კაპიტალისტური წყობილება, ეს სამი ხანა ერთიანად დაფუძნებულია კლასსთა ბრძოლაზე. აი, ეს ბრძოლაა ერთად-ერთი ღერძი პროგრესსის, პროლეტარიატის წინმსვლელობისა და თავდები იმის გამარჯვებისა. ანარქისტები კი ამ კლასსთა ბრძოლის ალაგას აყენებენ თანხმობას და აქედან სკვნიან კომმუნიზმის აუცილებლობას. მაგრამ ეს სოლიდარობა მათის სიტყვით ხომ წინათაც იყო. მაშ რატომ მან კომმუნიზმი წინადაც არ წარმოშვა? რატომ უეჭველად ის ახლა უნდა წარმოიშვას? ცხადია, ახლა რაღაც ახალი პირობები უნდა იყოს, რაც წინად არ ყოფილა, და ამიტომ ბადებს ახალ მოვლენას; ეს ახალია—პროლეტარიატი და მისი კლასსიური ბრძოლა. ვინც ამას უარსა ჰყოფს, ის უარს ჰყოფს სოციალიზმის აუცილებლობას". (გვ. 94—100). ეს ტირადა ორი ნაწილისაგან შესდგება. ერთია „კომმუნისტურ მანიფესტიდან" ნახანხლი სიტყვები, მეორე ბავშვური არგუმენტია ანარქიზმის ხსენებულ არგუმენტის წინააღმდეგ.

მკითხველი, ალბად, შენიშნავდა, რომ მე აქ ძლიერ მოწიწებით ვეპყრობი მარქსსა და ენგელსს—დიდ კაცთა გინება ჩვენისთანა საშუალო კაცთაგან სასიამოვნოდ არ ხვდება გულს. ჩვენც ხომ ნ. ჟ—ნიასავით არ გავკადნიერდებით და რეკლიუს რომ მეცნიერების გაკვეთილებს უკითხავს ნამდვილ ბიჭ-ბუჭურად · ეს ვაჟბატონი, ისე ხომ ვერ მოვექცევით განსვენებულ დიდ მწერლებს. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ „კომუნისტურ მანიფესტში" მარქსმა და ენგელსმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, დიდი სიცრუე წარმოსთქვეს, როცა სთქვეს, რომ მთელი ისტორია კაცობრიობისა კლასსთა ბრძოლაა პირველყოფილ კომმუნის დარღვევის შემდეგო. ჯერ-ერთი—ისეთი პირველ-ყოფილი კომმუნა, სადაც ბრძოლა არა ყოფილიყოს, ნამდვილი ზღაპარია, როგორც ეხლა ნათელ-ჰყო მეცნიერებამ, მეორე—სოლიდარობა და ასსოციაცია რომ არა ყოფილიყოს არა თუ ადამიანთა, არამედ ცხოველთა ცხოვრების უმთავრესი კანონიც,—მაშინ სულ არ იქმნებოდა არც ცხოვრება და არც კაცობრიობა! სოლიდარობა საზღვარს უდებს ბრძოლას და აჭარბებს მას თავის სივრცითა და ძალით, ბრძოლა კი მუდამ არღვევს სავსებით სოლიდარობას, ე. ი. ინდივიდთა შორის ურთი-ერთ შეგუებას; ეს მოვლენა მუდმივია ცხოველთა და განსაკუთრებით ადამიანთა ცხოვრებაში, და იგი რომ გამოვრიცხოთ, მთელი ისტორია, მთელი საზოგადოება რაღაც გაუგებარი, რაღაც გამოცანა იქნებოდა; კიდევ მეტი: თვით „საზოგადოება" იქნებოდა შეუძლებელი, თვით ცნება საზოგადოებისა—აბსურდი. აკი ვამბობდით, საზოგადოება კონტრაქტია, გარეგანი მოწესრიგება მეთქი!—ამას ცოდნა უნდა, ეს არც ერთ წუთს არ უნდა დაავიწყდეს სოციოლოგს, თორემ მისი არგუმენტებიდან მხოლოდ სისულელე გამოვა. და თუ ეს არის „სოციალური ფაქტი", ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებამ იარსებოს ისე, რომ კონტრაქტი, სოლიდარობა, მოწესრიგება არა სჭარბობდეს ბრძოლას, რაც უნდა სასტიკი იყოს ეს უკანასკნელი. თუ წინააღმდეგი მოვლენა მოხდა, მისი აუცილებელი შედეგი საზოგადოების დისსოლიუციაა. მას შემდეგ, რაც კლასსები აღორძინდა, კლასსთა ბრძოლა იყო, მაგრამ მთელი ისტორია მარტო კლასსთა ბრძოლა არა ყოფილა, ისტორიას ათასი სხვა მხარე ჰქონდა,—ეს ეხლა მარქსისტებმაც იციან. მაგრამ როცა ბ-ნ ნ. ჟ—ნიას ჰგონია, რომ ბრძოლა ისე ხდებოდა, რომ სოლიდარობა გამორიცხული იყო, ეს პირდაპირი უაზრობაა,—იგი მას ასე არ მოგვახლიდა პირში მთელ ქართველ ხალხს, რომ ცოტათი დაფიქრებულიყო. ასსოციაციის კანონი მოქმედებს თითქმის ყველა ცხოველთა შორის, იგი მათ შორის ბრძოლას საზღვარს უდებს და ამით შესაძლებელ ჰყოფს მათ სიცოცხლეს. სოლიდარობის კანონი ერთი მხარეა, უძლიერესი მხარე საზოგადოდ სახეთა შენახვის კანონისა. მხოლოდ სოლიდარობის კანონის ძალით არის შესაძლებელი აგრეთვე ადამიანთა საზოგადოება, რომლის დამახასიათებელი მხარე არის კონტრაქტი, რომლის პროგრესსია განვითარება და გაფართოვება ამ კონტრაქტისა და მისგან განდევნა ავტორიტეტის ელემენტისა. ყაჩაღთა ბრბოც კი ემორჩილება ამ სოლიდარობის კანონს, არა თუ მთელი კაცობრიობა, და ეს ჩვენი ბრძენი გამომდგარა და იძახის—ბრძოლაა პროგრესსი, ბრძოლის მეტი არა იყო რა ისტორიაშიო! ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, აბა ამასა ჰქვიან—განსვენებულ ილია ჭავჭავაძისა არ იყოს—ჰერიჰაა! გაგიგონიათ ალია მომკვდარაო!..

ესპინასმა, ლანესსანმა, თვით დარვინმა, მეჩნიკოვმა, ედმონდ პერრიემ, სოციოლოგებ კონტიდან დაწყებული დეგრეფამდისა და ტარდამდის და თითქმის ყველამდის,—ყველამ ნათელ-ჰყო ეს ჭეშმარიტება, ეს კანონი აღიარეს და მაზედ აშენებენ მთელ თეორიებს, მაგრამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას აბა ეს ბურჟუები როგორ შეედრებიან!

Bâton.

(შემდეგი იქნება).

სურებმა. ხევსურები თხოულობენ სხვაგან გადასახლებას, მაგრამ მთავრობა უარს ეუბნება. ზოგიერთი, ვისაც ცოტა ძალა შესწევდა, წავიდა ბარად და თავად-აზნაურთა მიწები აიღო იჯარით.

შატილიდან 3 ვერსის მანძილზედ სცხოვრობენ ქისტები. ქისტებთან ხევსურნი ვერ რიგდებიან, ამიტომ ხშირად ხოცვენ ერთმანეთს. ქისტები დღე და ღამ დათარეშობენ ხევსურების სოფლებში, სცარცვავენ ხალხს, იტაცებენ საქონელს. ამის გამო ხევსურნი როგორც პირ-იქითელნი, ისე პირ-აქეთელნი მუდამ შეიარაღებულნი არიან. შატილიდან მარჯვნივ მხარეს შედის არღოტის ხეობა; აქაც ხევსურები სცხოვრობენ, გარდა სოფ. მუცოსი, სადაც ხევსურები ქისტებში არიან არეულნი. ხევსურნი თხოულობენ ქისტის ქალებს, ქისტები—ხევსურებისას, ხატობა და სხვა დღეების გატარებაც ერთად იციან. აქამდე ასე ტკბილად ატარებდნენ დროს, ეხლა კი შავმა კატამ გურბინათ. აქაურმა ქისტებმაც სხვა ქისტებს მისცეს ბანი და დაიწყეს თარეში; ინახავენ ყაჩაღ-ქისტებს სახლებში, ქურდებს აძლევენ გზას, ინახავენ მოპარულ საქონელს და სხვა. აი, სწორედ ეს არ ესიამოვნათ მეზობელ ხევსურებს და აიღეს ხელი მათ მეგობრობა-მოყვრობაზე, რამაც გამოიწვია შუღლი. ხოცვენ ერთმანეთს. ერთის ხევსურის ოჯახში ოთხი ძმა იწვა ტყვიით დაჭრილი. ამ სოფელში დღისით საქონლის მეტს ვერ დაინახავთ გარედ, რადგან ვერც ქისტნი და ვერც ხევსურნი ერთმანეთის შიშით ვერ გამოდიან გარედ, თუ არ ღამე (ღამე ქისტების რჯულით სირცხვილია ხნუბი და კაცის კვლა). აქაურ კაცს, საერთოდ, თავისი „სული" ხელში უჭირავს: წავა, დახვდება მოწინააღმდეგეს და ან მოჰკლავს ან მოჰკვდება. წივილი კი არც ერთს შემთხვევაში არ შეიძლება.

ს. შატილში 44 კოშკია. ეს 44 კოშკი მოთავსებულია ერთ დიდ ციხეში. ციხეს აქვს ორი კარები, ერთი ქვეითა სართულში, სადაც მოწყობილია ბოსლები საქონლისთვის, მეორე კარები მეორე სართულშია ასასვლელი, აქ დაივლის კაცი რამდენსამე სართულს და ამ 44 კოშკის ოთახებს თავიანთ კარმიდამოთი მოწყობილს. შორიდან ეს ციხე წარმოადგენს რაღაც დიდ „სასახლეს".

ციხის გარედ დაძველებული ეკკლესიაა, შესავალ კარების თავზედ ერთი სუფთა სიპზედ შემდეგი წარწერაა: „По Высочайшему повелѣнію въ награду Шатильцамъ за пораженіе Ахверда Махмада и скопищь его въ 1843 году, выстроена по приказанію князья Намѣстника Кавказскаго 1849 году". შემდეგ ქართული წარწერაა: „უმაღლესის ბრძანებისამებრ ჯილდოთ შატილელთა დამარცხებისათვის ახვერდი მახმუდისა და მისთა შეურილთა ჯართასა ჩუმგ. წელსა აშენებულ არს ჩუმთ წელსა. განკარგულებითა კნიაზის ნამესტნიკასათა".

აქაურს ხევსურებს მტკიცედ უჭირავთ ძველი სარწმუნოება. მღვდელი არსად არის. ხუთმა წელმა რომ გაიაროს, ერთხელ არ მოიკითხვენ მღვდელს. ჰყავთ „ხევის ბერი" ანუ დეკანოზი, რომელიც ასრულებს მღვდლის წესსა. რომელსამე ხატის დღესასწაულზედ დეკანოზი დაამწყალობნებს ხალხს, დოცვებს წაუკითხავს, ძღვენს, საკლავს უკურთხებს, დაჰკლავს მათ მოყვანილს საკლავს და ასხურებს ხალხს იმავე საქონლის სისხლს. ამათთვის ზემო ხსენებული ეკკლესია სრულებით უმნიშვნელოა; რაც უნდა დიდი დღესასწაული იყოს, ამ ეკკლესიაში არ მივლენ, ამ დროს იკრიბებიან თავიანთ ხატებში და იქ ადიდებენ ღმერთს. ხატებში მოიპოვება თამარის დროისათსები, ჩარექები და სხვა ვერცხლეულობა, ძვირფასის თვლებით მოჭედილი.

როგორც გავიგე, აქ ერთს გამოქვაბულს და მიუვალს კლდეში აქვთ ხატი, რომლის თვალებიც მინისაა, კბილები ვერცხლისა და ჩაცმულია როგორც ადამიანი. ამ ადგილს ეძახიან „ანატორს". აქვეა აკლდამები, სადაც მიცვალებულთა გვამებს ასვენებდნენ ძველ დროში. ამ ხატზე ფიცულობენ— „ანატორის ჯვარის წყალობამაო".

შატილი ჰშორავს სამაზრო ქალაქს 80 ვერსით. რამდენადაც მოშორებულია სამაზრო ქალაქს, იმდენად უვლადფრით ჩამორჩენილია თიანეთის სხვა სოფლებს. არაფერი აქვთ არც სკოლა და არც სხვა რამე დაწესებულება. მთელს ხევსურეთს ჰქონდა ერთად ერთი სკოლა ბარისახოში და ისიც ცეცხლს მიეცა. ვინ იცის, როდის რა ეშველის ხევსურეთს!

**კოტე ფანანაურელი.**

**ახალციხე** წრეულს ჭირნახულის მოუსავლობაა ჩვენში. პური ერთი ორად გაძვირდა. სიძვირეს ვინდა ინაღვლის, რომ სასყიდლად შოულობდეს ხალხი. თითქმის მეფურნეები ვეღარ აცხობენ პურს. რამდენიმე ფურნე უკვე დაიკეტა. ხალხმა სალდათის პურის ყიდვა დაიწყო, მაგრამ ესეც გაუძვირეს. კაპეიკის მაგიერ გირვანქა არყანოის გამოცხვარი 2—3 კაპეიკამდე აიწია. ერთის სიტყვით, საშინელი ხანა დაუდგა მიუხვეველს ახალციხელებს, მეტადრე ღარიბ წვრილმეიის პატრონებს, რომელთაც ისეც ყინვიანი ზამთარი კარს მოადგა. მდარე ფქვილი, რომლიდან გამოსაცხვარს ადამიანი ვერა სჭამს, თუ არ ამისთანა შიმშილობის დროს, დირს რვა აბაზ—რვა აბაზ უზალთუნი. ქერის მაგანდა ჯერ გამოურკვეველია, ეჭვი არ არის, რომ ექვს აბაზიდან დაიწყებენ თხოვნას. სიმინდი კი, როგორც გადმოგვცეს ამ დღეებში, დამშეულ იმერლებს ოცდა შვიდ-შვიდ მაურად დაუკრებიათ ფუთი აბასთუმნის მახლობლად მდებარე სოფლებში და წაუღიათ იმერეთს. თითქმის უვლადფრის სიძვირეა აქ, გარდა ხილისა.

ჯავახეთიც ასეთსავე ცეცხლს განიცდის თურმე. ხორბალი სომარი (16 კოდი, ფუთი) 28 მან. ყოფილა, ქერი 20 მან.

მებატონების უმრავლესობამ უკვე გაყიდა პური ან გადასცა ჯიბეების ასავსებად იმ გაჭრებს, რომელთაც, რასაკვირველია, მოგების სადერდელი აქვთ აშლილი. უმეტესმა, ფულის მოგების მოტრფიალემ, ნაყიდი პური მაგრა ჩაჰკეტა ბეღლებში; მარჯვე დროს უცდიან; შუა ზამთარში ან გაზაფხულის პირზე გამოიტანენ გასასყიდად და ერთიოთხად მეტს აიღებენ.

ასეთმა გაჭირვებულმა დრომ .ხლავე გაახშირა წვრილმანი ქურდობა. წარმოიდგინეთ, საბუდრიდან კვერცხიც კი იკარგება მეზობლობაში.

ამ დღეებში ოლქის სასამართლოს სესიამ რამდენიმე საქმე გაარჩია. სხვათა შორის, გაარჩია საქმე გრ. მდებაროვის სახლზე თავდასხმის შესახებ, რომლის დროსაც მძარცველებს 2,000 მანეთის ნივთი წაუღიათ. სასამართლომ დამნაშავენი 8—8 წლის კატორღით დასაჯა: სტ. საინოვი, დ. ბაირახტაროღლი და შ. ბალკასაძე, და 5 წლის კატორგით—დ. დაურჯევი (მცირე წლოვანი) გადაიდო საქმე ბოქაულ ხოჭოვისა, რომელსაც თავის თანაშემწის პეტროსიანის მოკვლა ჰბრალდება.

27 ოქტომბრისთვის განძრახულია განს. ილია ჭავჭავაძის სახსოვრად გამართონ აქ ორ ადგილას (გადმა-გამოღმა) სალიტერატურო ღილა. დამსწრეთ გააცნობენ განსვენებულის მოღვაწეობას. **ქარცეცხლი.**

# მუშების ცხოვრება

**კავკასიის პარიკმახერთა პირველი ამხანაგობა.** 15 ოქტომბერს „კავკასიის პარიკმახერთა პირველმა ამხანაგობამ", რომელიც უკვე ცნობილია ტფილისის საზოგადოებაში, დაითხოვა და ანგარიში გაუსწორა ყველა მუშებს კასირისა და შვეიცარის გარდა. ამ საზოგადოებას მარტო ზალის ქარგლების მუშაობისაგან წლის განმავლობაში ჰქონდა შემოსავალი 4750 მ. წმიდა მოგება დარჩა 2795 მ., ესე იგი 232 მან. და 90 თვეში. შეგირდებისაგანაც სარგებლობა აქვს ამხანაგობას. ამასთან შეგირდებს იქვე ჰძინავთ, ზოგს იატაკზედაც-კი. ამ შეგირდებისთვის საჭიროა სუფთა და თბილი ოთახი, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობდა. არა ერთხელ ზოგ მათგანს ულაპარაკნია მუშასთან: როგორ არის თქვენ 35—40 მ. ღებულობთ თვეში და იძახით—ცოტა არის, არ გყოფნისო, როდესაც ჩვენ წინად ვიღებდით 15—20 მანეთამდე, არც გფიცვებს და არც მოთხოვნილებებს ვადგენდით და კიდევ შევძელით შავი დღისთვის რამდენიმე ათას მანეთის შენახვა. მართლა საკვირველია, როგორ ახერხებდნენ, თუმცა მაშინ სიიაფე იყო, 15—20 მანეთით ცოლშვილის შენახვას და კიდევ ფულის გადადებას.

ამხანაგობას რომ დაეკმაყოფილებია მუშები, თითოს მხოლოდ 6 მანეთი დააკლდებოდა, მაგრამ მათ ეს არ ჩაიდინეს და 12 კაცი უადგილოდ დარჩა.

**ჩვენ.**

# რუსეთი

**ახალი პარტია.** პეტერბურგში დაარსდა ახალი კონსერვატიული პარტია, რომელიც ოქტომბრისტებზე მემარჯვენე იქნება. ამ პარტიის დაარსებაში დიდ მონაწილეობას იღებენ ბიუროკრატები. ამ საქმეს სათავეში უდგა გრაფი ვიტტე, რომელსაც მოუთმენლად მოელიან საზღვარგარეთიდან. მეთაურთა შორის ირიცხებიან აგრეთვე „ნოვოე ვრემიას" რედაქტორი სუვორინი, ცნობილი მენშიკოვი, ბოდისკო, პროფესორი სერგიევსკი, სახელმწიფო საბჭოს წევრი რუხლოვი და სხ. პარტიას სახელად ეწოდება „ველიკოროსთა ეროვნული პარტია". მთავარი მიზანი პარტიისა არის დაცვა რუსეთის ცენტრის ინტერესებისა და ბრძოლა „ინოროდცებთან".

**სტატისტიკა ორის წლისა.** გასულ ორი წლის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 2717 კაცისთვის, ჩამოუხრჩვიათ და დაუხვრეტიათ 1780 კაცი. კატორგა გადაუწყვეტიათ 3873 სულისთვის, აქედან უვადოდ 605-სთვის, გადასახლება გადაუწყვეტიათ 502, საპატიმროში დამწყვდევა 5735-სთვის, გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 4114-სთვის, ციხეში—1307-სთვის. სამართალში მიუციათ 1114 რედაქტორი, დაუკეტნიათ 978 გაზეთი და ჟურნალი, დაუჯარიმებიათ 174 გაზეთი 112,150 მანეთით. საერთოდ ორ წელიწადში დაუსჯიათ 18,274 კაცი, ე. ი. თვეში 760, დღეში 25.

**ამნისტია.** უმაღლესის ბრძანებით სასჯელისაგან განთავისუფლდა და უფლებები დაუბრუნდა ვინმე ევდოკიმოვს, რომელმაც 20,000 თუმანი გაფლანგა.

**არქიმანდრიტი მიხეილი.** გუშინ ვწერდით, რომ სინოდმა არქიმანდრიტ მიხეილს მიუსაჯა ვალამის მონასტერში გადასახლება და აუკრძალა ლიტერატურული მოღვაწეობა. თუ არ დაემორჩილა განაჩენს, მას გაკრეჭა მოელის. არქიმანტრიტი მიხეილი არ ემორჩილება სინოდის ბრძანებას. მას გადაუწყვეტია საჩლვარ გარედ გასვლა და ახალ, თავისუფალ ეკკლესიის შექმნა.

**3 ივნისის საარჩევნო კანონი.** ახალმა საარჩევნო კანონმა ყველა უფლებანი ბალტიის მხარეში გერმანელ მემამულეებს მისცა, რაიც ცხადად მტკიცდება უკანასკნელ არჩევნებით. ბალტიის მხარეში ესტონელებისა და ლატიშების საერთო რიცხვი უდრის 2 მილიონს, გერმანელებისა 165 ათასს, ებრაელებისა 61 ათასს და სხვა ერებისა 75 ათასს. ამომრჩეველთა რიცხვი კი ასეა განაწილებული: 116 გერმანელია, 54 ესტონელი და ლატიში, 10 ებრაელი, 5 რუსი და 1 პოლონელი.

### ყვავილი და საავადმყოფო
**(წერილი რედაქციის მიმართ).**

ამ ბოლო დროს ტფილისში მეტად გავრცელდა ყვავილი. დღე არ გადის ისე, რომ წუთისოფელს არ გამოესალმოს რამდენიმე ადამიანი, უმეტეს ნაწილად ღარიბ-ღატაკი. როგორც ვიცით, გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ქალაქს ჩელაბარში აქვს ბარაკი. ამ ბარაკში მიჰყავთ ექიმებს და, განსაკუთრებით, პოლიციას ყვავილით ავადმყოფნი. ქალაქის მცხოვრებთ წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ეს, მათის ფულით აგებული, საავადმყოფო მართლა ასრულებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ მოსტყუვდნენ. ეს საავადმყოფო ავადმყოფთათვის ჯოჯოხეთად გადაქცეულა. ბარაკში წარმოუდგენელი უწესოებაა. რადგან წამლობა უფასოა, ავადმყოფებს არაფრად არ აგდებენ; არც მოსამსახურეებს და არც ფერშლებს ადამიანური არაფერი აცხიათ. ფერშალი შევა ავადმყოფებთან, აათვალიერებს, გადაათვალიერებს, გაილანძღება და იტყვის: „აბა შეხედეთ. ვინ მოთრეულან აქ, ეს მზარეული, ეს ხელზე მოსამსახურე, ეს ნოქარი და ეს ხელოსანი. აბა თუ ერთ ვაჭარს, მოხელეს ან ფულიან ინტელიგენტს ნახავო. სულ მუქთა-ხორები შეყრილან, ქელეხში მოდიან რაღაო". ერთმა ავადმყოფმა წამალი მოითხოვა, ფერშალმა წამალი არ მიაწოდა, გაჯავრდა და ლანძღვით უთხრა: „აქ რომ დაგაწვინეთ, იმის მადლობელიც იყავიო". წარმოიდგინეთ, მოუვლელობისაგან ერთ ავადმყოფ თათარს მატლები დასხია წყლულებზე. არც სხვა მოსამსახურენი იქცევიან კარგად, როგორც მოგეხსენებათ ყვავილმა დიდი სიცხე იცის. ზოგიერ ავადმყოფს აბოდებს და ლოგინზე ვეღარ ჩერდება. ამ დროს ავადმყოფს დიდი მოვლა სჭირდება; აქ-კი სიცხისაგან ლოგინიდან წამოვარდნილ ავადმყოფს იჭერენ მოსამსახურენი, აგდებენ ლოგინში, გრეხავენ მიხვილ პირსახოცისაგან მათრახს და სცემენ უიმისოდაც გადარეულ ავადმყოფს წყლულებზე. ეს არის მოვლა? ნეტა ვინ შერკა ასეთი მოვლენა საავადმყოფოში? სად არის მეთვალ-ყური ექიმი, სად არის ქალაქის გამგეობა? ცარცვა-გლეჯა და ჯიბგირობაც ყოფილა ამ საავადმყოფოში. გამგეობა მოვალეა, მიაქციოს ყურადღება ამ საავადმყოფოს**). **გიორგი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომ ქალაქის გამგეობის ყურადღება მივაქციოთ იმ უწესოებას, რომელიც, როგორც ამ წერილიდანა სჩანს, გადამდებ სენის ბარაკში ხდება. **რედ.**

**) როგორც გავიგეთ, ეხლა ახალი ექიმი და ფერშალი მოუწვევიათ, რომელნიც, იმედია, მიაქცევენ ყურადღებას ავადმყოფებს. **გ.**

# დეპეშა
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რუსეთში.**
22 ოქტომბერი

**ჩენსტოხოვი.** სტრადომის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა მოჰკლა ერთი ახალგაზრდა კაცი.

**ორიოლი.** ტრუბჩევის მაზრის ქვემო სლობოდაში მოჰკლეს და გაცარცვეს ცოლ-ქმარი.

23 ოქტომბერი.

**ბალტა.** საქ. საბჭომ 2000 მანეთი გადადო გიმნაზიის ფონდისათვის.

**ორენბურგი.** სადგურ ჩუმლიაკის კასის ორი მცარცავი შეიპყრეს, მესამე მოჰკლეს. იმათ უპოვნეს 3 მაუზერი, 4 ბრაუნინგი, პატრონები და ყუმბარების ბუდე.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ოხრანნი განყოფილების აფეთქების განზრახვის საქმე და გადაუწყვიტა ერთს ქალს 3½ წლით საპატიმროში ჯდომა, ერთს ციხე ერთის წლით და ექვსი თვით, ხუთს პატიმართა რაზმი სხვა და სხვა ვადით (2—5 წლამდე), ერთს გადასახლება, ცხრა კაცს კატორგა სხვა და სხვა ვადით (4—20 წლამდე), სამი გაამართლა.

**ტომსკი.** გარდაიცვალა თავდასხმის დროს სასიკვდილოდ დაჭრილი ბუხჰალტერი სატეხნოლოგიო ინსტიტუტისა. დაპატიმრებული მძარცველები აღმოჩნდნენ სტუდენტები. ერთი მათგანი ბუჰალტერს მძიმედ დაუჭრია თურმე.

**კიევი.** სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის სახელოსნოებში ცეცხლმა გაანადგურა საარმატურო საზეინკლო და ჩამოსასხმელი განყოფილებანი. გაფუჭდა აგრეთვე რკინის გზის ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწყობილება.

**ხევასტოპოლი.** ბოქაულ გვოზდევიჩის მოკვლის წინად ავაზაკები თურმე დასცემიან გეორგიევის მონასტრის ხუტორს. ბერები თოკით შეუკრავთ და ფული მოუტაცნიათ.

**ელისავეტგრადი.** მთავარ ქუჩაზე ბროლუცკის და ვინნიცკის კონტორას დაეცნენ შეიარაღებულები და იქ მყოფს საერთაშორისო ბანკის მეარტელეს 7309 მანეთი წაართვეს. ამ ამბავს უყურებდნენ ბროლუცკი და კონტორის მოსამსახურენი. მეარტელე დაზღვეულია.

**ნოვოჩერკასკი.** ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2.

**ეკატერინოსლავი.** ქალაქში ავად გახდა 1, გემიდან ჩამოიყვანეს.

**კურსკი.** სუჯანის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, მორჩა 6, დარჩა 11. შჩიგრის ქალაქის საავადმყოფოში წევს 2 ხოლერით ავადმყოფი.

**ორენბურგი.** ტროიცკის მაზრის, კოჩკირის მადნებში ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 4, ჩელიაბინსკში ხელ ახლა ავად გახდა 8, გარდაიცვალა 5, მორჩა ერთი.

**სამარა.** ავად გახდა 2,

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ავად-გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**კიევი.** ავად გახდა 13, გარდაიცვალა 5, მორჩა 9, წევს 190; გუბერნიაში ორის დღის განმავლობაში ავად გახდა 15. გარდაიცვალა 8.

**ჰელსინგფორსი.** ფინების ახლად დაარსებულ მუშათა კავშირის ახალ გაზეთის სანიმუშო ნომერი გამოვიდა. გაზეთის უმთავრესი მიზანია მოუპოვოს მუშებს სხვა და სხვა უპირატესობა ისე, რომ სხვა კლასიც არ დაიჩაგროს; განსაკუთრებით მუშათა უპირატესობის მოპოვებით ქვეყნის მრეწველობა არ უნდა შეფერხდეს. კავშირი უარ-ჰყოფს სოც.-დემოკრატების თეორიას საკუთრების შესახებ, რადგან ეს წინააღმდეგია არსებობისათვის ბრძოლის თეორიისა. მუშათა-შორის სწავლა-განათლების შესახებ [illegible] კლასობრივ განსხვავებასთან. კავშირი უარ-ჰყოფს სოც.-დემოკრატების პოლიტიკურ პროგრამას, აგრეთვე მათ მიერ წამოყენებულ ეკონომიურ საკითხებს მოხუცებულობა-უძლურების დროისათვის უზრუნველ ყოფის შესახებ. ამას უარ-ყოფენ იმ მოსაზრებით, რომ ამნაირ კითხვების ფართოდ გადასაწყვეტად მისწრაფება საზარალოდ მოქმედებს მუშათა ინტერესებზედ. კავშირი ჰკიცხავს ფინლიანდიის სოციალისტების ერთობას რუს-რევოლიუციონერებთან და ჰკიცხავს აგრეთვე სარწმუნოების დოგმატთა უარ-მყოფელთ.

**ტომსკი.** ბარნაულში ხოლერით ავად გახდა 2. ნოვონიკოლაევკაში ავად გახდა, 8, გარდაიცვალა 2, ბიისკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კინეშემის საინსპექციო ნაწილ სოლოში იწვის გარუზოვის ზატონის ქარავანი. მთელი ზატონი ალშია გახვეული. ცეცხლი დიდზეა მოდებული.

**პეტერბურგი.** დამტკიცდა ახალი წესდება სახ. სათათბიროში გარეშე პირთა შესვლის შესახებ. ახალის წესდებით, სათ. გარეშე პირთ შეუშვებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სათათბიროს თავმჯდომარის ურთიერთ შეთანხმებით. ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს დაეთმობათ ადგილი მარცხნივ ქანდარაზე თითო ადგილი თითო გამოცემაზე. ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს შეუშვებენ მხოლოდ სხდომის დროს. ბილეთი ემლევათ ერთის წლით. ბილეთს უნდა ჰქონდეს ზედ დართული პატრონის ფოტოგრაფიული სურათი. ბილეთს ძალა ეკარგება თუ გაზეთი დაიხურა, ან ტავრიდის სასახლის ოხრანამ საჭიროდ სცნო არ შემოუშვას ბილეთის პატრონი.

**უცხოეთში.**
22 ოქტომბერი.

**თეირანი.** სპარსეთის საზღვართა გამომრკვევ კომისიის უფროსი წევრებითურთ ოსმალოს საზღვრისაკენ გაემართა. უფროსი გაივლის თავრიზს და ურმიას,

**ბერნი.** ხალხმა კენჭის ყრით (326,102 ხმის უმეტესობით 264,183 ხმის წინააღმდეგ) მოიწონა კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ.

23 ოქტომბერი.

**ბუქარესტი.** შეადგინეს მთელი კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო შეთანხმების შესახებ. ამ კანონ-პროექტით უნდა დაარსდეს საოლქო კომისიები. ამ კომისიებმა უნდა განმარტონ თითოეულ ოლქში მიწის იჯარის მინიმუმი და მაქსიმუმი და აგრეთვე სამუშაო დღე. კომისიის გადაწყვეტილებას იწონებს და ამტკიცებს უმაღლესი სამეურნეო საბჭო. კანონ-პროექტი ეხება აგრეთვე საიჯარო მიწების ექსპლოატაციას.

**ხცამბოლი.** 21 ოქტომბერს უსკიუბის ვილაიეტში სერბების ბრბომ მოჰკლა 7 ბულგარელი, იმათ რიცხვში ორი ქალია.

**პარიზი.** მაროკოს ამბების შესახებ ყვითელ წიგნს დეპუტატთა პალატას წარუდგენენ ოთხშაბათს, ანუ ხუთშაბათს. ამ საქმის გამო კამათი პარასკევისთვისაა დანიშნული.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ბვალიშვილი.**


# განცხადებანი

**დაიბეჭდა და იყიდება**
„სარკე
ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა"

შედგენილი მესხ-ს კონსტანტინე გვარამაძის მიერ, ფასი 5 კაპ. ვინც 50 ც. იყიდის, 3—3 კაპ. დაეთმობა. ადრესი: „წერა-კითხვის საზოგადოების წიგ. მაღაზია'ში" ტფილისს, და ავტორთან, ახალციხეს, სადაც უმთავრესი საწყობია.
(3—6.—1)

მასწავლებელთა
# საყურადღებოთ!
**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული"
ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—12)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.